# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


ამ ნომერთან ხელის-მომწერლებს ეგზავნებათ საჩუქრად რუკა „ბალკანეთის სახელმწიფოებისა" მიხეილ ყიფიანის მიერ ქართულად შედგენილი და შემოწირული.


## ქართული თეატრი

დღეს, 15 მარტს,

ბ-ნ აღნიაშვილის ქართული ხორო გაჰმართავს რჩეულ სიმღერების

### კონცერტს.

კონცერტი სამის განყოფილებისაგან იქნება შემდგარი. პირველსა და მეორე სიმღერაში ექვს-ექვს სიმღერას იტყვის ხორო, ხოლო მეორეში—შვიდსა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ


ტფილისი, 14 მარტი

ბ-ნმა ხუდადოვმა ჩვენის ერთის მეთაურის გამო მოგვიძღვნა წერილი. იგი წერილი უკვე დაბეჭდილია „ივერის" № 51-ში. ბ-ნმა ხუდადოვმა დაგვიწუნა, რომ ლიბერალთა დასის კაცნი და იმავ დასის ჟურნალი „Вѣстникъ Европы" ვიმოწმებთ ერთს შემთხვევაში. სახელდობრ, იმ შემთხვევაში, რომ სხვა-და-სხვა წოდებათა გამოუკლებლად და განურჩევლად აგება სოფლის საზოგადოებისა თუ თემისა—ლიბერალთა დასის მოძღვრებაა სხვათა შორის. რასაკვირველია ეს აზრი თავის-თავადაც ანიშნებს კაცს რა ბანაკისაც არის. დღეს ბალღმაც კი იცის, რომ უსწორ-მასწორობა უჯრა-უჯრობა, გუნდ-გუნდობა, კაცთა საზოგადოების აგებულებაში, — პატარაა იგი საზოგადოება თუ დიდი, — ყველა წარჩინებულ კაცთაგან ცნობილია წარმატების დამაბრკოლებელ მიზეზად. რუსეთშიაც სცნეს ესა და ამ ბოლოს დროს ჰცდილობენ ერთი განურჩეველი სათემო შეჰქმნან ეხლანდელ მარტო საგლეხო სათემოს მაგიერ. ყველა განათლებულ ქვეყნებში ეგ პატარა ადმინისტრატიული წრეც სხვასთან ერთად ამ დედა-აზრზეა აგებული. ამის ცოდნას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა და, — თუ გნებავთ, — მეტიც იყო ჩვენის მხრით, რომ სხვები ვიმოწმეთ. მაგრამ სიტყვამ მოიტანა და ჩვენც იგი მოწმები დავასახელეთ იმისათვის კი არა, რომ ჩვენის აზრის საბუთიანობა იმათს მოწმობაზედ დაგვემყარებინა, არამედ იმისათვის, რომ ამ აზრს ერთს დროს რეტროგრადობა უგიჟინეს და ამ გიჟინის უკუ-საქცევად უკეთესი რა იქნებოდა, თუ არ მოწმობა თვითონ ლიბერალებისა, რომ ეგ ჩვენი აზრი და მოძღვრება არისო. ზოგისათვის ამისთანა ბეჭედ დაკრული მოწმობაა საჭირო, რადგანაც თვით ბუნება აზრისა მათთვის მიუწდომელია. ბ-ნს ხუდადოვს კი ჰგონია, რომ ჩვენ თვითონ საბუთიანობა აზრისა ამ მოწმობით გვინდოდა დაგვემტკიცებინა. გონიაობა, თუ სადავე მივუშვით, უფრო შორსაც წავა ხოლმე.

ეგ არაფერი. ჩვენ არც ერთგან არც ერთი სიტყვა არ წაგვცდენია, რომ კაცმა დაგვწამოს ვითომ „რიხიანის მუქარით" გვეთქვას ‹როგორ გაბედეთ› და ჩვენის მოწმეების წინააღმდეგ სთქვით რამეო. მართალია, კაცია და გუნებაო, მაგრამ კაცსაც და გუნებასაც თავისი სამზღვარი აქვს. გავკადნიერდებით და მოვახსენებთ ბ-ნს ხუდადოვს, რომ იგი ამ სამზღვარს გადაცილებულა, რადგანაც უნებებია და სწორედ ამასა გვწამებს, რომ ჩვენს მეთაურს წერილში ვითომ:

> „სულ რიხიანი მუქარაა, თუ როგორ გაბედეთ და წინააღმდეგ გრადოვსკისა, არსენიევისა და სპასოვიჩისა ხმა ამოიღეთო."

ბ-ნ ხუდადოვის ადგილას ჩვენ ამისთანა სულელობას არავის შევწამებდით. აქ «კაცია და გუნება» ვერაფერი მეშველია. იმას რაც ბ-ნმა ხუდადოვმა შეგვწამა არც ვიტყვით თავის დღეში და არც გვითქვამს და ვინც ესა სთქვა, იმასვე მეეკამათოს ამისი დამწამებელი, თუ საქმეო მოცალეობა აქვს. ბ-ნის ხუდადოვის წერილი სხვა მხრით არის შესანიშნავი. იქ ერთი აზრია გამოთქმული, რომელსაც ერთს დროს დიდი ფხა და ავალა ჰქონდა რუსეთში და რომელმაც მარტო მით, რომ ცნობიერად გაგებული არ იყო, არა ერთსა და ორს ყმაწვილ კაცს გზა-კვალი დაუბნივა იქაც და ჩვენშიაც. ამ აზრს ბ-ნ ხუდადოვისაგან, ბუნდად, ყრუდ და გაკვრით გამოთქმულს, განმარტება უნდა და თუ დღეს ბ-ნ ხუდადოვის წერილის გამო ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, ჩვენი თავდაპირველი სურვილი მაგ აზრის განმარტებაა.

ავტორიტეტების მოწმად მოწვევის გამო, ბ-ნი ხუდადოვი ერთს, ცოტა არ იყოს, ქამთა ვითარებით გახუნებულს ზოგადს აზრს გვიქადაგებს ამ სახით:

> „ეჰ, დარბაისელო, დიდი ხანია კერპთ-მსახურება გადავარდა და სხვა და სხვა ბობოლეების თაყვანის-ცემა უგუნურობად მიგვაჩნია."

ჩვენ რომ ბ-ნ ხუდადოვსავით, კაცია და გუნებაა—ამ ანდაზას დავადგეთ, ვიტყოდით, რომ ეს მეტის-მეტი მოსვლია ამის მთქმელს და ამაოდ თავ-მოწონებას უფრო მოასწავებს, ვიდრე დამჯდარ გონების გამონაკვლევს. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბ-ნი ხუდადოვი გონება-გახსნილი კაცია, ნასწავლია, მცოდნეა და ამიტომ ვამბობთ, რომ ამ სიტყვებში ის არ უნდა ვიგულისხმოთ, რასაც სიტყვები პირდაპირ გვეუბნებიან. თუ არა ვცდებით, — ბ-ნს ხუდადოვს ამით იმისი თქმა უნდა, რომ ავტორიტეტები, ესე იგი, ყველასაგან ცნობილნი, სახელ-მოპოებულნი მეცნიერნი ყოველთვის არიან და იქნებიან და ამათი თაყვანის-ცემა არ დაილევა ქვეყნიერობაზედ, ვიდრე ადამიანის ჭეშმარიტს ღვაწლს, ზედ-მიწევნილ ცოდნას, მეცნიერებას, სიბრძნეს და ამათით მოპოებულს სახელს კაცის თვალში პატივი, ფასი და დიდება ექმნება. ხოლო ბრმად დაჯერება ყოველ იმისი, რასაც ავტორიტეტი ამბობს, რის შამოწმებასაც ყურის მგდებელის ჭკუა, გონება მისწვდება და რასაც ეს შემოწმება უარ-ჰყოფს, — მართლა დიდი ხანია უგუნურობად არის მიჩნეული. თვით იკვლიე, ფუ შეძლება და გარემოება შეგწევს, მოსჩხრიკე, შეამოწმე და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე მხოლოდ მაშინ და ამ სახით შენს საკუთარ რწმენად გარდაჰქმენ სხვისაგან აღმოჩენილი ჵ ნაკვლევი. ხოლო საცა გონება და ჭკუა, რომელისამე მიზეზით, ვერ მიგიწვდეს და არჩევანში ხარ, შენს არ-გამორკვეულს აზრს არ-ცოდნას სხვისი, სახელ-განთქმულის მეცნიერის გარკვეული აზრი და ცოდნა მოაშველეო. აი ეს არის ეხლანდელი მოძღვრება ავტორიტეტების გამო და ბრმად დანდობა კი და აყოლა სხვისა იქ, საცა შენი საკუთარი გონება საბუთიანად სხვა რიგად გიჭრის, — ეგ უწინდებური ცოდვაა, უგუნურობად მიჩნეული და სამართლიანად განდევნილი, უარ-ყოფილი. აქაო და არისტოტელმა სთქვაო და რაც უნდა აშკარად დასარღვევი საბუთი გქონოდათ, არისტოტელს სიტყვას ვერ შეუბრუნებდით, ცოდვად ჩაგითვლიდნენ. დიდი ხანია ესე ბრმად აყოლა, ესე დამაბუნება ჭკუისა და გონებისა, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩაილუღლის წყალს გაჰყვა. მაგრამ აქედამ სრულებით ის არ გამო-

## ფელეტონი

### მთათ ძილი

ხევებში ჩაწვა ნისლები;
განზედ დაყრილან მთანია
ერთ-ურთზე მიქადლებულნი,
როგორც ერთგულნი ძმანია.

მთვარე ცას შემოსწყრომია,
წყალი ჩაჰხუას შორადა;
ტირილად მესმის ჩხრიალი
მისი ხევადამ ორადა.

აგერა კიდევ იშხივლა,
სული ამოჰხდა სწორადა!
ნამი უმცრევავ მწვანეზედ
ნისლებს ნასტუმრალთ, მრავალთა,
თან ნამას, სიოს მზიდველთა
შავთა, შავ-ფერად მავალთა.

შეჰკედლებიან მთათ სამზღვრებს
ორბნი, არწივნი ფრთიანნი.;
გავსილა ფრინველებითა
მთების ლოვინი კლდიანი.

იმათაც დასძინებიათ,
ნისკარტ დაშვებით, მხრებითა,
წუნარად ჩამოდის ჩიხვები,
ვიწრო ბილიკებ-გზებითა;
ბუდეულა გარინდებულა
ერთად პირ-ნათლის მძებითა.

შავის მანდილით შეკრულა
ხევ-ხუვი, მთისა ყელები,
ცას ტატნად მისდევს მთის-წვერებს
სელ-სხივნი როგორც გველები.

აღარსად ცეცხლი ანთია
მწყემსის ფარეხის პირშია...
შორს სამ აყმუვლდა ნადირი
ხშირის ჩონჩხების ძირშია.

აღარსად გუშაგები ჩნან,
მთის პირთ დარაჯად მდგომარედ,
აღარც ნაკვანძი ზალახი
მტრისა ნავალის მხსომარედ.

ვარსკვლავნი მთის წვერთ სწვევიან
ეუბნებიან ნანასა:
თქვენს მტერსამც მაჰკლავს სიკვდილი,
ყელშიმც დასცემენ დანასა;
თქვენს მეტი არვინ გვიამბობს
ხმლეთის, წყლეთის ამბავსა.

მარცხნით გერგეტი ამდგარა,
მეფე მეფურად მზარალი,
მარჯვნით ბორბალა ერყევა,
როგორც ობოლი მტირალი...

აგერ ნისლებიც დაიძრა,
როგორც სულები მკვდრებისა,
ცაზედ ვარსკვლავნი დაზნელდნენ,
დაბლა თავები მთებისა.

აღარა გამიგია-რა
აქ გასავალის გზებისა!...
მთათ სძინავთ, არ იღვიძებენ,
შიში არა აქვთ მტრებისა!

ვაჟა-ფშაველა

### ცხოვრების წვრილმანები*)

#### სოფლის მასწავლებელი-ქალი

(მოთხრობა შჩედრინისა)

ანნა გუბინის ასული მასწავლებლად იყო სოფლის სკოლაში. ეს ქალი სწორედ ამ ხელობისათვის იყო დაბადებული, თუ უსაქმობის გამო მოჰკიდა ხელი მასწავლებლობას — ამაზე ნამდვილს პასუხს თვითონაც ვერ მოგცემდათ. ანნამ მიიღო მასწავლებლობის მოწმობა, მერე იშოვა თხუთმეტ მანათიანი ადგილი და საქმეს შეუდგა. შემოდგომის დამდეგს მივიდა სოფელში; სოფლელებმა აჩვენეს სკოლის შენობა და ანნაც იქ ჩამოხდა. იმის ბედზე მასწავლებლის სადგომი, ერთი ოთახი და პატარა სამზარეულო, სკოლის გვერდზედვე იყო. ხშირად ისეც მოხდება ხოლმე, რომ მასწავლებელი ერთს კვირას ერთთან არის ბინად, მეორეს—მეორესთან, ასე რომ მასწავლებლისათვის ბინის მიცემა მცხოვრებთათვის ბეგარად არის დაწესებული.

სკოლა მოთავსებული იყო კარგა მოზრდილს შენობაში, რომელიც ბატონ-ყმობის დროს მოურავს სჭეროდა და რომელიც ბ-ნმა სოფელს აჩუქა სასკოლოდ. ეს შენობა ძველი იყო და გლეხებს, რამდენისამე წლის განმავლობაში, არ შეუკეთებიათ: ბუხრებიდგან კომლი გამოდიოდა, ჭერიდგან წვეთი ჩამოდიოდა, ჭუჭრუტანებიდგან ქარი უბერავდა.

სწავლა ამ სკოლაში პირველ-დაწყებითი იყო. ყმაწვილებს უნდა ესწავლათ: კითხვა, წერა, რამდენიმე საგრამატიკო წესი და კანონი, არითმეტიკის ოთხი მოქმედება და შემოკლებული სამღვთო ისტორია. ერთისა და ორის წლის განმავლობაში ბავშვს ყოველ-გვარი სიბრძნე უნდა შეეძინა. ადგილობრივს მღვდელს თვალყური ეჭირა, რომ ბავშვებისთვის იმაზე მომეტებული არ ესწავლებინათ, რაც დაწესებული იყო; სკოლის მზრუნველად მნათე იყო ამორჩეული, ხოლო უმაღლესი უფლება მემამულეს ჰქონდა, რომელიც მუდამ სამზღვარგარედ სცხოვრობდა, მაგრამ იშვიათად მამულსაც ინახულებდა ხოლმე. სკოლა სავაჟო იყო.

ანნა ულხად ვერ მოეწყო. მასწავლებელს ასე მალე არ ელოდნენ და სკოლა მინგრეულ-მონგრეული იყო. სანამ ბავშვები მოგროვდებოდნენ, მათი მშობლები მოდიოდნენ სკოლაში და ახალ მასწავლებელს გულ-მოდგინედ ათვალიერებდნენ.

— რაც შეიძლება ბავშვებს მალე გვისწავლე; ოღონდ წერა-კითხვა ისწავლონ და ცოტაოდენი ანგარიში, უამისოდ არ შეიძლება, და მეტს არც ჩვენ გეხვეწებით. ბავშვები შინ გვჭირია. თუ ბავშვი ზარმაცობას დაიწყებს, დატუქსე; აიგერა კუთხეში წკეპლის კონაა. მადლი გვიყავ, მოგვეხმარე.

ანნამ ნელ-ნელა მოაწყო სკოლაც და თავისი ოთახიც. ავეჯეულობის ნაცვლად უსუფთაოდ გარანდული სტოლი დაუდგეს და სამი ხის სკამი მისცეს; კუთხეში მოურავის ნაქონი კარათოთი იყო მიდგმული; კედლებზე ლურსმნები იყო მირჭობილი; ამ ლურსმნებზედ ანნამ თავისი ტანისამოსი ჩამოჰკიდა. სკოლას ერთი მოსამსახურე ჰყავნდა, რომელიც ცეცხლს ანთებდა და საღამოობით საკლასო ოთახს ასუფთავებდა. ანნამ შეიტყო, რომ მის წინა-მოადგილე სადილად მღვდელთან თურმე დაიარებოდა და ჩაის-კი შინ იმზადებდა. მღვდელმა აღუთქვა ანნასაც, რომ ჩემს ოჯახში ისადილე ხოლმეო.

— მებრალები, უთხრა მან, — თორემ იმისთვის კი არა, რომ რამე გამორჩენა მქონდეს: აბა შენ ვინ რას მოგიმზადებს, აქ თბილს სასმელს კი არა, პურსაც ვერ იშოვი. თთვეში ხუთ

*) იხ. „Вѣстникъ Европы"-ს თებერვლის წიგნი, 1887 წ.

დის, რომ ავტორიტეტობა ეხლა შემუსრვილია და თაყვანის-ცემა მისი უგუნურობად ცნობილი. აი სწორედ ეგრედ უმეცრად გაგებულმა გამოლაშქრებამ ავტორიტეტებზედ დოინჯი შემოაყრევინა მეტნარს უვიცობას და აძახებინა: შექსპირი, სპენსერი, ჰეგსლი, ჰეკკელი ვინა გდიაო; ავტორიტეტები რას მიქვიან, და სხვანი და სხვანი. ასეთმა თავ-გასულობამ უვიცობისამ ბევრს აურია გზა და კვალი, იმიტომ-რომ ამისთანად თავ-გასული კაცი ხომ თითონ არა არის-რა, სხვასაც არავის კაცად არ აგდებს. ნუ თუ ეს გონიერებაა და ჰეგსლის და ჰეკკელის დიდ-მეცნიერად, დიდ-ავტორიტეტად ცნობა და თაყვანის-ცემა კი უგუნურობაა.

ჩვენ არა გვგონია, რომ ამის თქმა სდომებოდეს ბ-ნს ხუდადოვს და თუ მართლა იმის თქმა ჰსურვებია, რასაც მისი ზემოდ მოყვანილი სიტყვები პირ-და-პირ გვეუბნებიან, მაშინ სხვაა და ამაზედ შემდეგს ნომერში მოვილაპარაკებთ.

## ახალი ამბავი

*** დღეს ბანკის თეატრში, როგორც ამას წინადაც მოვიხსენიეთ, დანიშნულია კონცერტი ბ-ნ ვლ. ალნიაშვილის ხოროსი. საზოგადოებას ძალიან მოსწონს ზოგიერთი ამ ხოროსაგან თქმული სიმღერები. ზოგიერთი ხმა გავრცელდა ტფილისში და ქუჩებშიაც-კი მღერიან. იმედია, საზოგადოება ბლომად დაესწრება დღევანდელს კონცერტს.

*** ამ გაზაფხულზედ ბ-ნი ტარატინოვი აპირობს, მოსკოველ ვაჭარის საბა მოროზოვის მინდობილობით, დაიაროს საქართველო და საზოგადოდ ამიერ-კავკასია და შეიტყოს, სად უფრო კარგი მამულებია ბამბის მოსაყვანად. როგორც ამას წინადაც მოვიხსენიეთ, ბ-ნს მოროზოვს განზრახვა აქვს ბამბის თესვასა და მოყვანას მიჰყოს ხელი ამიერ-კავკასიაში.

*** დღეს, პირველის ნახევარზე, ტფილისის კათოლიკეთა ეკკლესიაში პანაშვიდი იქმნება გარდახდილი მიცვალებულის პენჩინსკის მოსახსენებლად იმის შეგირდებისა და მოწაფეთა თაოსნობით. პენჩინსკი კარგა ხნის კაცი იყო და სულ ერთი წელიწადი იქნება, რაც თავი დაანება ტფილისის რეალურ სასწავლებლის დირექტორობას.

*** დღესვე გადიხდის პანაშვიდს მიცვალებულის მოსახსენებლად კავკასიის სამეურნეო საზოგადოება, რომლის თავს-მჯდომარის ამხანაგადაც ითვლებოდა სიცოცხლის დროს განსვენებული პენჩინსკი.

*** ჩვენ ვნახეთ გარდაწყვეტილება იმ კომისიისა, რომელსაც კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ მიანდო გაზ. „ცისკრის“ საქმის განხილვა; კომისიის გარდაწყვეტილება ამბობს, რომ დღევანდელი „ცისკარი“ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებასა. ხოლო, რადგანაც კავკასიის სამეურნეო ცხოვრებისათვის საჭიროა ცალკე გაზეთი, სასურველი იქნება, რომ საზოგადოებამ ყოველ-გვარი დახმარება აღმოუჩინოს დღევანდელს სამეურნეო გაზეთს, იმ პირობით-კი, რომ რედაქტორი თავად დანიშნოსო და ან წარმოება გაზეთისა თვით საზოგადოებამ იკისროსო.

*** ფოთიდამ დაწერილებით გვწერენ იმ უბედურების ამბავს, რომელიც დატრიალებულა ფოთის ნავთ-სადგურში 11 მარტს: დღეს აქ თერთმეტს საათზედ საზარელი ამბავი მოხდა. უეცრად გაძლიერდა ქარიშხალი, დასწყვიტა ღუზები სამის პურით დატვირთულის გემისა, ერთის ილისსა და ქვიშის მღებელის მაშინისა და შთანთქა ზღვის ზვირთებში. ერთი ცეცხლის გემი გარიყა და ძრიელ დაახიანა. დაღუპულის ხალხის რიცხვი ოც-და-თექვსმეტამდე იქმნება. მათ-შორის ათამდის ქართველია, თორმეტი იტალიელი, ექვსამდის რუსი და ათამდის ბერძენი. იტალიელთ გემი იდგა თვით ზღვაში და სამოცი ათასი ფუთი ხორბალი იყო შიგ; ხოლო ორი გემი, ერთი საბერძნეთისა და ერთიც ოსმალეთისა, იდგა ნავთ-სადგურში. როდესაც შიგ მსხდომმა ხალხმა დაინახა, რომ ზღვის ღელვა ძრიელ მატულობსო, დაიწყო ცლა გემებისა და პურს წყალში ჰყრიდა რომ თავი როგორმე გადაერჩინათ, მაგრამ მათი მეცადინეობა ამაო შეიქმნა.

ხუთის წამის განმავლობაში აზვირთდა ზღვა, შესდგა წყლის გორები, რომელიც მოასკდა ერთბაშად გემებს ნაწილ-ნაწილად აქცია. ამ გემების გვერდით იდგა სილის მღებელი გემი, რომელსაც მოაჯახა წყალმა დამტვრეული გემები და გადააბრუნა. შიგ თექვსმეტს კაცამდე იყო და თითქმის ყველანი და ქართველები იყვნენ. საბრალონი ამოცვივდნენ ზევით, დადგნენ გადაბრუნებულ გემზედ და თხოულობდნენ შველას, მოაშველეს გემი და როგორც იქნა ოთხი გადაარჩინეს. დანარჩენებს, როცა შეამჩნიეს, რომ წყალმა გემი არ მიუშვა საშველად, ნაპირებიდგან მაყურებლის ხალხის იმედი-ღა ჰქონდათ. ნაპირიდგან თოკს ისროდნენ საწყლებისაკენ, მაგრამ ქარიშხალი თოკს შორს არ უშვებდა. საწყლებმა იმედი გადაიწყვიტეს და სამი ოთხი კაცი გადმოვარდა წყალში, რომ ცურვით გამოსულიყო ნაპირას, მაგრამ წინიდგან შეეჯახათ ანძების ნამტვრევები, დაამტვრია ხელები და ცხვირ-პირი და გამბედავი ვაჟ-კაცნი ჩასძირა ზღვამ. როდესაც მოვარდნილმა ტალღებმა მოხვეტა გემზედ შერჩენილი დანარჩენები, მხოლოდ ერთმა მათგანმა, მეგრელმა გიორგი ჯალაღანიამ ახალ-გაზდა ყმაწვილმაღა შეიმაგრა თავი და შერჩა გემზედ. როგორც კაი მცურავს, საბრალოს უნდოდა თავი გადაერჩინა, გაიძრო ტან-საცმელი და როცა პერანგი გადმოიფინა თავზედ წამოსაძრობად, იმ დროს, საუბედუროდ გაუტყდა ფეხ-ქვეშ სარკმლის შუშა და შიგ გაეჭედა ერთი ფეხი. ვეღარც პერანგის გახდა მოასწრო საწყალმა და ვეღარც ფეხის ამოღება. ამ დროს მოვარდა წყალი და მიახვია იქვე გემის ფიცრებზედ. საბრალომ ერთი ორ ჯელ კი გაანძრია თავი და მერე უძრავი შეიქნა. დაღუპულის გემებისა და იმ მკვდრის მეგრელის ცქერამ გულ-მოკლული დასწვა საცოდავობით მნახველებს და ამ უბედურს დღეს მთელი ფოთი მხოლოდ ამაზედ ლაპარაკობდა.

*** ამ თვეის 3-ს ჩვენს პატივცემულს მღვდელ-მთავარს ალექსანდრეს შეუსრულდა 25 წელიწადი მღვდელთ-მთავრობის ხარისხით სამსახურისა. ყოვლად-სამღვდელოს დეპეშით მოულოცა ეს დღე: უწმინდესის სინოდის კანცელარიის მმართველმა ბ-ნმა საბლერმა, მოსკოვის მიტროპოლიტმა იოანნიკემ, საქართველოს ეგზარხოსმა პავლემ, ყაზანის მთავარ ეპისკოპოსმა პალლადიმ, ირკუტსკის მთავარ ეპისკოპოსმა ბენიამინმა, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა და სხ. წინა დღეებში ბ-ნმა საბლერმა დეპეშით აცნობა მღვდელთ-მთავარს ალექსანდრეს შიო-მღვიმის უდაბნოს დამტკიცება შტატის მონასტრად: აქ იქმნება—ოთხი მღვდელ-მონაზონი, ორი იეროდიაკონი და ოთხი მორჩილი. ამისათვის მღვდელთ-მთავარს ალექსანდრეს წარუდგენია უწმინდესს სინოდში 20,100 მანათი, რომლის სარგებლითაც უნდა იცხოვრონ უდაბნოს ძმათა.

*** კახეთიდამ გვწერენ: დასავლეთის ქარი ჩადგა და მეტად მშვენიერი გაზაფხულის დღეები დაიჭირა. მთელი ერთი კვირა საშინელი სიცხეები იყო, მაგრამ ხალხი მაინც სამუშაოდ ვერ გავიდა, რადგან ქარისაგან გახრიოკებული და ზედ სიცხისაგან ამომხმარი მიწა ძნელი საბარ-სახნავი შეიქნა. 8 მარტს მოიღრუბლა ცა და მშვიდი ჟუჟუნა წვიმა დაუშვა. წვიმას თოვლიც მოჰყვა და 9-სა და 10-ს ამ თვეს ითოვლა. კიდევ კარგი, დედა-მიწა გახურებული დაჰხვდა და მალე ადნობდა, თორემ საშინლად მოიკიდებდა თოვლი ფეხს. მაინც კიდევ შესაფერი თოვლი დასდო მინდვრად. 11-ს წინა-ღამეს არშინზე მომეტებულის სიმაღლის თოვლი დასდო. მოსავლისთვის ეს თოვლი სწორედ რომ მისწრებაა.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ ცხრა დღის წინად გურიაში, სოფელს ჩიბათს თავად გურიელებისა და აზნ. ჭყონიების შორის თოფ-იარაღის ტრიალი მოხდაო. შეთოფ-იარაღებულნი მებრძოლნი ორსავ მხრით სამას კაცზე მეტი ყოფილან. რასაკვირველია, უმარცხოდ საქმე არ გათავდებოდაო, გვწერს კორრესპონდენტი: რამდენიმე კაცია დაჭრილი. მათ შორის ერთი ჭყონია მძიმედ დაუჭრიათ. ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ უკვე გაჰგზავნა ამ საქმის გამოსაძიებლად საგუბერნიო სამმართველოს მრჩეველი ბ-ნი გერარდიო. ამ სამწუხარო ამბავის მიზეზი საადგილ-მამულო დავა ყოფილაო.

*** საგურამოდამ გვწერენ, რომ აქეთკენ ძრიელ მძვინვარებს წითელა და ყვავანა ხველაო, ზარალი უფრო წითელასა აქვსო. ეს სენი ამ ჟამად სამ-ოთხს სოფელშია აქეთ გავრცელებული: ჰოპორტსა, ბიწმენდასა და ახალ სოფელსაო. ამას წინად წითელამ მოჰკლა 17 წლის ყმაწვილი კაციო.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“ ამბობს, რომ საერო გადასახადებზე თვალ-ყურის დასაჭერად ამიერ-კავკასიაში უნდა დაარსდეს საგუბერნიო გამგე კომიტე-

---

მანეთს გამოგართმევ და სადილად ჩემთან იქნები. ბევრი არაფერი მექნება, მაგრამ მშიერს-კი არ დაგტოვებ. ყოველ დღე ივლი ჩვენსას და დაგვიახლოვდები. შენთვისაც კარგი იქნება და ჩვენთვისაც. თუ რამე დაგჭირდება, მეტყვი და დაგეხმარები, მაგრამ არ დაგიმალავ: მძიმე და საძნელო შრომა მოგელის. აქაური ხალხი გაუგონებელია, შეუფერებელი, შარიანი; თვითეული მათგანი თავის სურვილს გამოგიცხადებს და ხან-დის-ხან ისეთსაც, რომ ასრულება გაგიჭირდება. ლუდმილა, თქვენი მოადგილე, წაიჩხუბა ვასილ დროზდს და ძლივსღა გადაურჩა იმის რისხვასა.

— ვინ არის ეგ დროზდი?

— აქაურების ამრევ-დამრევი, ვაჭრობს, სასმელების დუქანი აქვს. მთელი ქვეყანა ფეხ-ქვეშ ჩაიგდო და მთავრობაც-კი მონადირებული ჰყავს. ლუდმილას საჩუქარი მიუტანა, რადგან მისი შვილი სკოლაში სწავლობს, და ლუდმილამ-კი არ მიიღო; ამაზე შეხირდნენ, რაღა თქმა უნდა, დროზდს ეწყინა, ძალიან ჩააბეზღა და ლუდმილასც, მეტი გზა აღარა ჰქონდა, უნდა წასულიყო აქედამ; ერობას მისი აქ დარჩენა აღარ უნდოდა. ახლა ქალაქში სცხოვრობს ერთს ქალთან, რომელსაც პანსიონი აქვს გამართული.

— განა ასე საძნელოა აქ ყოფნა?

— მეტად საძნელოა. თავი და თავი საქმე ის არის, რომ საყდარში იაროთ, წირვა-ლოცვაზე მე, ვითარცა მოძღვარი, გთხოვთ და, ვითარცა კაცი, გაფთხილებთ, ვითარცა მღვდელი, გეუბნებით: მხოლოდ ეკკლესიას შეუძლიან შეგვიმსუბუქოს ცხოვრების მძიმე უღელი. ვითარცა კაცი გაუწყებთ, რომ ძალიან ადვილია დაბრალდეს კაცს, რომ სარწმუნოებას გულგრილად ეპყრობაო. ასეთი ბრალ-დება-კი საშიშია. მაგრამ წინასწარ-მეტყველობა გამოუდეგარია. რა კი მოსულხარ, შენს საქმეს უნდა შეუდგე. ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

მღვდელი ძველებური კაცი იყო; არც გულ-კეთილობა აკლდა, და ცოლიც კეთილი ჰყავნდა. ესენი მარტოდ-მარტო სცხოვრობდნენ, რადგან შვილები აქედიქით იყვნენ წასულნი თავ-თავიანთ საქმეზედ. ორივე ძალიან შრომის მოყვარულნი იყვნენ და ერთი მოსამსახურის მეტი არავინ გააჩნდათ. მღვდელი იმდენად გამრჯელი იყო, რომ მინდორშიაც-კი მუშაობდა, თუმცა იქიდამ არაფერი შემოსავალი არა ჰქონდა. ანნას ისინი ძალიან თანაუგრძნობდნენ; ეს ქალი ამ ცოლ-ქმარს საკუთარს შვილებს აგონებდა. ანნასათვის ასეთი ამბავი კარგი ნიშანი იყო; თუმცა ჰგრძნობდა, თუ რა მძიმე ტვირთი ელოდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ მღვდლის სახლში იპოვიდა შველასა და დახმარებასა. ანნამ გამოიანგარიშა, ხუთი მანეთი რომ სადილში ეხარჯო და ჩაისა და საუზმეში, ხუთი მანეთი კიდევ დამრჩება ჯამაგირიდამაო. ესეც კარგი იყო მისთვის, რადგან მეტი სხვა არა უნდოდა რა ჯერ-ჯერობით. სადგომი მზადა ჰქონდა და ისე მოეწყო, როგორც შეეძლო; თუმცა კომლი ყოველ-დღე თვალებსა სწვავდა, მაგრამ ანნა ამას ადვილად ითმენდა. ტანისამოსი ბლომად მოჰყვა და ახლა არაფერი არ ეხარჯებოდა. მოწყენის შიში არა ჰქონდა. დღისით ბავშვებთან იმეცადინებდა, საღამოთი მეორე დღისათვის გაკვეთილს მოამზადებდა, ან მღვდლის ოჯახში წავიდოდა დროების გასატარებლად,— მღვდელს მეზობლისაგან გაზეთი მოჰქონდა და ანნასაც სთავაზობდა ხოლმე. ქალს იმედი ჰქონდა, რომ როგორც იქნება თავს ვუშველიო. სწავლა დაიწყო. ორმოცამდე ყმაწვილი მოგროვდა და ერთი ქლავილ-ქლუვილი გაჰქონდათ. ზოგი მათგანი არ ეპოვებოდა მასწავლებელს და შეუპოვრად მისჩერებოდა თვალებში. საზოგადოდ, ძალიან აჯავრებდნენ, გასაკვეთის ახსნის დროს უშლიდნენ და ჰყვიროდნენ. ანნა ცდილობდა თავი იმ ნაირად ეჩვენებინა, რომ ვითომ ყურადღებას არ გაქცევთო, მაგრამ ძალიან გაჭირებაში-კი იყო. ბოლოს თავმა ისე მწარედ დაუწყო ტკივილი, რომ ორი საათს ძლივს მოითმენდა სწავლების დროს სკოლის ოთახში.

— მართალი უნდა გითხრა,—უსაყვედურა მღვდელს—დღეს დაგემდურე, რომ არ მოხვედი ჩემს გასამხნევებლად.

— სწორედ მეც იმისთვის არ მოვედი,—უპასუხა მღვდელმა—რომ ამ თავითვე გაგეგო ნამდვილი გარემოება საქმისა. დღეს რომ არ გამოგეცადათ, სულ ერთია, ხვალ მაინც გაიგებდით.

მეორე დღეს მოვიდა მზრუნველი— მნათე და იკითხა, ბავშვებს ხომ წყნარად უჭირავთ თავიო. ქალმა უპასუხა, რომ ჯერ-ჯერობით არა უშავთრა და შემდეგ საქმე უფრო კარგად წავაო.

— კიდეც ეგ არის, მაგათ შენ ნუ შეიცოდებ; მაგათთვისაა აი კუთხეში წკეპლის კონა. აიღე და უცხუნე! ურჩია მზრუნველმა. ორ კვირასაც არ გაუვლია, რომ ანნას ესტუმრა „შეუპოვართა-შეუპოვარი“ ვასილ დროზდი, რომელმაც მისი წინა მოადგილე განდევნა. დროზდი ანნას ოთახში ისე შევიდა, თითქო მისი სახლი იყოსო, რაღაც შეხვეული შეუტანა, სტოლზე დასდვა და უთხრა:

— თქვენთან ჩვენი ბალღი სწავლობს და აჰა, ეს მოგიტანე. აქ ნახევარ გირვანქა ჩაია, შაქარი, ლორი და მოსაკითხი. ამას გარდა ფულად ორი მანათი მოგართვით.

უბიდამ ქისა ამოიღო, ორი მანეთი მოჰხანხა და მოტანილს ძღვენს გვერდს მოუდვა

— ეს რა არის? ხომ იცით ამის ნება არა გვაქვს!—დაიწყო ანნამ გაანჩხლებულის კილოთი.

— შენ ბავშვს მისწავლე და ნუ დამიბრკოლებ.

— მე უამისოდაც ვასწავლი. არ მინდა, არა! გთხოვ, გამშორდე!

დროზდმა იწყინა; სიმწარით წარბი ჩაუთეთრდა.

— მაშ შენ ჩვენი მეგობრობა გეზიზღება?—ჰკითხა მან და მრისხანე თვალით ახედ-ჩაჰხედა.

— არ მინდა!—კვლავ დაიძახა ანნამ და უცბად დადუმდა. იმ წამსვე ლუდმილა გაახსენდა. გაახსენდა ისიც, რომ პეტერბურგში ჰქონდა გაგონილი,— გავლენიან კაცზედ შფოთს უნდა ერიდოვო; რომ ეს-და-ეს მამასახლისს წაეკიდა და ადგილი დაჰკარგაო; ამან-და-ამან ვერ მოიგო ერობის საბჭოს წევრის გული და ადგილს გამოეთხოვაო!

— გამიგონეთ,—უთხრა ანნამ დაწყნარებით:—მე თქვენ შვილთან უამისოდაც ვმეცადინეობ... სიტყვას გაძლევთ! თუ გნებავთ, საღამოობით იაროს ჩემთან; ყველაფერს გავამეორებინებ.

— მოტანილს უკანვე მატანთ?

— იცი რა, აი ეს სჯობია, ამაში დამეხმარეთ; ბუხრიდამ კომლი გამოდის, ჭერიდამ წვიმა ჩამოდის და გამიკეთებინეთ.

— ეს ხალხის საქმეა. ამას ხომ ცო-

ტებიო. ტფილისის კომიტეტს დაენიშნება ჯამაგირად 4,640 მან. და სხვა დანარჩენ კომიტეტებისათვის დანიშნული იქნება წელიწადში 4,440 მანათიო.

*** გაზ. „კასპი“ ამბობს, რომ შემახიის ქალაქის მცხოვრებნი შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე და სთხოვენ, საქალაქო დებულება შემოიღეთ ჩვენს ქალაქშიაცაო.

*** ესევე გაზეთი ამბობს, რომ 10 მარტს ბაქოს წმ. ნიკოლოოზის ტაძარში შეეიდნენ ქურდები, გასტეხეს ყუთები და ყულაბები და 600 მანათი ფული მოიპარესო. ქურდების კვალი მიიკვლიეს და უთუოდ მალე შეიპყრობენ კიდეცაო.

## ტფილისის ქალაქის საბჭო.

(9 მარტის კრება)

(დასასრული *)

**ბ-ნი მაჩაბელი.** მართლაც და საჭიროა, რომ ყურადღება მივაქციოთ ჩვენის ქუჩების მდგომარეობას. ჩვენ დიდს ეეტანებით და ცოტაც ვერ გაგვეკეთებია. ბევრგან ჩვენი ქუჩები და აღმართები ისეთს მდგომარეობაშია, რომ კაცს ვერ გაუვლია. თუ იმდენი ფული არ არის, რომ ყველგან ქვაფენილები დავაგოთ, აუცილებლად საჭიროა ზოგიერთის ქუჩებისა და აღმართების შეკეთება, წყლის სასვლელის მილებისა, ან თხრილებისა, რომ კაცმა თავი არ იბანოს შიგა. ხან-დისხან ისე ფუჭდება ქუჩები, რომ თითქმის ნავით საველელია. განსაკუთრებით როცა წვიმებია და ნიაღვარი მოვარდება ხოლმე.

**ბ-ნი თამამშოვი.** იქნება ბ-ნი დინგელშტეტი დასთანხმდეს და ეს საგანი ჯერ-ჯერობით განურჩეველი დასტოვოს?

**ბ-ნი ზუბალოვი.** უკეთესი იქნება საფინანსო და სახლის შენების კომისიას გარდაეცეს ეს საგანი, რომ უფრო დაწერილებით შეიმუშაონ, თუ რა საშუალებით შეიძლება ქალაქის ქუჩებში ქვა-ფენილების დაგება. ესეც იქონიოს ამ კომისიამ სახეში, რომ, თუ საჭირო იქნება, სესხიც შეუძლიან აიღონ ხუთის წლის ვადით ას-ასი ათასის გადახდით ყოველ წლივ.

**ბ-ნი თამამშოვი.** რა საფინანსო კომისიის საქმეა ეს საგანი?

**ბ-ნი ზუბალოვი.** რატომ არა? საფინანსო კომისიას შეუძლიან თავისი ღრმა საფინანსო მოსაზრებანი წარმოუდგინოს საბჭოს შესახებ სესხისა. *)

**ბ-ნი ევანგულოვი.** თანახმაა რომ ბ-ნ მაჩაბლის აზრის თანხმად შეიცვალოს მოხსენება.

ბ-ნმა ქალაქის თავმა კენჭის ჩამოტარებით მოისურვა ამ საგნის გადაწყვეტა. კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა, რომ საზოგადოდ ქვა-ფენილების დაგებაზედ საქმე გადაუწყვეტელი დარჩეს, მხოლოდ საფინანსო კომისიას გარდაეცეს განსახილველად ქვაფენილების დაგების საქმე იმ ქუჩებში, რომელნიც ქალაქის ხარჯით უნდა გაკეთდეს. ამ წელს ყველაზედ უკანასკნელი საგანი, რომელიც კრებამ მოისმინა, ბ-ნ ივანენკოს მოხსენება იყო. ბ-ნ ივანენკოს აზრით, კრებამ უნდა ხელ-მეორედ განიხილოს 16 თებერვალს ამა წლისას საბჭოს მიერ დადგენილი გადაწყვეტილება იმაზედ, იტეოროს თუ არა ქალაქმა ალექსანდრეს ბაღის აღება. დიდი ბაასი გამოიწვია ამ საგანმა, ბევრი ილაპარაკეს. ზოგი ამბობდა, ვიკისროთ და გამოვართვათ ბაღი ხაზინასაო, ზოგი უარზედ იყო.

მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა თვით ბ-ნმა **ივანენკომ**, ბევრი მოსაზრებანი მოიყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ ქალაქი სწორედ მოვალეა ბაღი გამოიხსნას ხაზინის ხელიდგანაო. წინააღმდეგნი იყვნენ ქალაქის თავისა და გამგ. წევრის ბ-ნ პაპოვის გარდა, ბ-ნნი ევანგულოვი, ბებუთოვი და სხვანი. კრებამ დიდის ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა, რომ ჩაიბაროს ქალაქმა ალექსანდრეს ბაღი ხაზინისაგანაო.

ერთი ტაშის კვრა იყო ხალხში ამ გადაწყვეტილებას შემდეგ. კრება დაიშალა ღამის მე-12 საათზედ. კრებას დაესწრო სულ 43 ხმოსანი.

*) ბ-ნი თამამშოვი წევრია საფინანსო კომისიისა. რედ.

*) იხ. „ივერია“ № 54.

## ბამბის მოყვანა

ამ სამის წლის წინად აგრონომის ტარატინოვისათვის დაუვალებია მოსკოვის ჩითეულობის მექარხნეს მოროზოვს, ისწავლოს ბამბის მოყვანა ამერიკასა და ამიერ-კავკასიაში. ამერიკაში წასვლამდე ბ-ნ ტარატინოვს მოუვლია ქუთაისისა და ერევნის გუბერნია და შავი-ზღვის ნაპირი. ამ პატარა მგზავრობის შემდეგ ბ-ნი ტარატინოვი ამერიკაში წასულა, სადაც ორის წლისა და სამის თვის განმავლობაში უსწავლია ბამბის მოყვანა.

ბამბის მოყვანის გამო კავკასია უფრო უკეთესს მდგომარეობაშია, ბ-ნის ტარატინოვის აზრით, ვიდრე ამერიკა. ჰავა და ნიადაგი ჩვენის ქვეყნისა ძრიელ ხელს უწყობს ბამბის მოსავალს. ტეხნიკური შემუშავება მიწისა ამერიკაში უფრო განკარგებულია, ვიდრე ჩვენს კავკასიაში და მაინც კიდევ ჩვენი მოსავალი ბამბისა არ დაუვარდება თურმე ამერიკის მოსავალს. ორთა-შუა მოსავალი როგორც ამერიკაში, ისე ჩვენში დესეტინიდამ 15 ფუთამდე იქნებაო. თვისებით ჩვენი ბამბა სრულიად არ დაუვარდება ამერიკის ბამბას, თუმცა მოსკოვში ფუთი ამერიკის ბამბა მანეთით უფრო ძვირად ისყიდება, ვიდრე ჩვენის კავკასიის ბამბაო. ამ გვარის მოვლენის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ვაჭრები ყალბობენ და ბევრს სხვა-და-სხვა ნივთიერებას ურევენ ბამბაში: ქაღალდის ყუთების ნამტრევებს, კირს, ქვებს და სხვანი. შემდეგ ეკონომიური მდგომარეობა ჩვენის ქვეყნისა ნებას გვაძლევს ამერიკელებზე უფრო იაფად დავისვათ ბამბის მოყვანა: ამერიკელი მუშა თვეში სულ უკანასკნელ სამ თუმანს იღებს, ჩვენში კი შეიძლება კარგი მუშა 15 მან. დაიჭიროს კაცმაო. ჩვენს ქვეყანაში აქამომდე ბამბის მოყვანა ისე არ არის გავრცელებული, რომ ცოტად მაინც დააკმაყოფილოს ჩვენი შინაური ბაზრები და ამიტომ რუსეთი იძულებულია, ყოველს წელს იყიდოს ამერიკის ბამბა თითქმის 70—80 მილლიონ მანეთისაო.

უწინ კავკასიას უფრო ბევრი ბამბა მოჰყავდა, ვიდრე დღეს; ბამბა უფრო ბევრს შემოსავალს მისცემს ჩვენს ხალხსა, ვიდრე სიმინდი, პური, ქერი და არც ისეთს სარფიანს საქმეს ჩამოუვარდება, როგორც თამბაქოსი და ბრინჯის მოყვანაა: ერევნის გუბერნიაში და საზოგადოდ მთელს ამიერ-კავკასიის სამხრეთ ნაწილში ძრიელ ნაკლებად არის წყალი და ამის გამო ბრინჯის მოყვანა უძნელდება ხალხსა. ბამბას კი ცოტა წყალი უნდა და ამ მხრივ ბამბის მოყვანა სასარგებლო იქნება, მით უფრო, რომ ბამბა მეტს შემოსავალს იძლევა ვიდრე ბრინჯიო.

(შემდეგი იქნება)

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**საგარეჯო,** (გარე-კახეთი). იერისხეობის ხალხს შემოდგომის სუსხიანმა დღეებმა შემოუტია, მოვიდა თოვლი, დართვილა დაუმწიფებელი და შემოუსვლელი მცენარეობა და ნაყოფიერება, ასე რომ დაუმწიფებელის, დართვილულ ყურძნის ღეროები მზისგან დახმა; რაღა მეტი ღონე ჰქონდა ხალხს, რომ ადრეულადვე რთველები არ დაეწყო, დააყენეს საშინელი მჟავე საქორწილო ღვინოები; შემოდგომამაც მექორწილეებს ხელი შეუწყო და მშვენიერმა ბრწყინვალე დღეებმა გასტანა იანვრის პირველამდინ. ამ ხნის დარიანობაში ხალხიც გამხნევდა, თითქმის ვენახები კიდეც შემუშავეს: ხალხი ბლომა ქირებს ეზიდებოდა ტფილისს, საქონელი საგარეჯოს მინდვრების იალაღზედ დაკუნტრუშებდა. მაგრამ პირველ იანვრიდგან დადგა ახალი წელიწადი, 1887 წ., მოჰყვა სუსხიანი დღეები თოვლით, ნაბუქებით ასე, რომ თებერვალმა საშინლად გააჭირა საქმე. ბევრ ადგილას ქარმა და ქარაშოტმა დააქცია ჩალური, სახლები და სრულიად აღგავა მინდორში მაღლობ მიწებზედ ნათესი ყანები. ამასთანავე სოფლებში ხშირად ჩალურებს ცეცხლი უჩნდებოდა.

სოფელ საგარეჯოში გადიწვა ორი საბძელი, ერთი სახლი და ერთიც დუქანი; ახლა დადგა მარტი და, მადლობა ღმერთს, ამინდიც შეიცვალა, დატრიალდა გაზაფხულის სუნი.

ტფილისიდგან სიღნაღისაკენ მიმავალი შოსეს გზა ინჟენერების წყალობით ააცდინეს ძველის-ძველად სოფლებზედ მომავალ საქარავნო გზას: პატარძეულს, ნინო-წმინდას, საგარეჯოს, გიორგი-წმინდას, თოხლიაურს, მანავს, ჩაილურს, კაკაბეთს, ყანდაურს და სხვა სოფლებს და აზამბურზედ გაიყვანეს, ერთს უდაბურს მინდორზედ, რომელზედაც ასი ვერსი მანძილი უნდა გაიაროთ და მხოლოდ ერთი სადგური მალხაზოვკა უნდა შეგხვდეთ. ამ მალხაზოვკაში სულ 40 კომლი მალაკანი სცხოვრობს. საქარავნო გზას ყურადღებასაც არავინ აქცევს. ყურადღებას არავინ აქცევს ზემოდ ჩამოთვლილ სოფლებზედ მიმავალ გზას, რომელიც სიღნაღზედ უფრო მარჯვეც არის და არცა-რა შიში აქვს მიმავალ მგზავრს, არც ყაჩაღებისაგან და არც ცუდის ამინდების დროს, რადგან ამ გზაზე ყოველთვის თავს შეაფარებს კაცი სოფლებში. რაიცა შეეხება ეხლანდელს შოსეს, რა უნდა ჰქნას მგზავრმა ამ გზაზე. იმ სამოც ვერსის უდაბურ მინდორზე მიმავალმა ცუდ ამინდში სად შეაფაროს თავი? ამიტომაც ხშირად ხდება უბედურება თუ

---

ტა ხარჯი არ უნდა? ბუხრის გადაკეთება იცი რა ღირს? ეჰ, რას მეუბნები. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს.

იმან იქვე, ოთახში, დაიხურა ქუდი, თავის მოტანილს ძლევნს ხელი წაატანა და გზას გაუდგა. ანნა ამ გარემოებამ პატარა ხანს ჩააფიქრა, მაგრამ შემდეგ ველარ მოითმინა, გამოეკიდა და დაეწია.

— შენი ჭირიმე, ნუ შემრისხავ. ხომ იცი, აღკრძალული გვაქვს. თქვენი ბავშვი საღამოობით გამომიგზავნეთ, მასთან განსაკუთრებით ვიმეცადინებ!

— ალბად ლუდმილას ამბავი გაახსენდა?—იფიქრა დროზდმა ურცხვად: —მაშ კარგი, თუ დრო გაქვს, ბავშვს საღამოობით გამოგიგზავნი, ფულს ახლა მე თვით აღარ მოგცემ, და აჰა, ეს წაიღე!

იმან ჩქარის ნაბიჯით გასწია და ანნა-კი მისის მოტანილის ძღვენით ქუჩაში დარჩა გაშტერებული. ეს ამბავი ანნამ მოძღვარს უამბო, რომელმაც ურჩია, «დაიტოვეო».

— დაიტოვე,—უთხრა მან:—თორემ რაიმე უბედურებას შეგამთხვევს. „კამბეჩის მარქენალს ხარს რქა არ შერჩებაო“, ნათქვამია. ვინ იცის, ამას კიდევ რა გამოაბას. დაიტოვე, მეტი რა გზაა! ჩვენ ქვეყანას ვერ გადავაკეთებთ. თუ დამიჯერებ, დანარჩენებთანაც კარგი მეგობრობა გექნება.

მართლაც, ანნას ძალიან ეფერებოდნენ და დიდს პატივში ჰყავდათ. დროზდის შემდეგ მამასახლისი მოვიდა, შემდეგ ორი-სამი შეძლებული გლეხი და ყველამ საჩუქრები მოუტანეს.

საღამოობითაც გაიმართა სწავლა, ხუთი-ექვსი ბავშვი იკრიბებოდა. მოულოდნელმა საჩუქრების მოტანამ ანნას თავისუფალი დრო წაართვა. ვერც ჰკითხულობდა-ღა რასმე, ველარც მეორე დღის გასაკვეთებისათვის ემზადებოდა—მოცალეობა არა ჰქონდა. მისდა საუბედუროდ ბავშვებიც უგულისყურო შეჰხვდა, მათთან დიდხანს უნდა ებეჯითნა. სამაგიეროდ დაბეზღების ქაღალდები აღარ მიდიოდა, საცა ჯერ არს. დროზდი ხშირად ქალაქში დაიარებოდა და ანნას ჯამაგირი ქალაქის გამგეობიდამ თავ-თავის დროზე გამოჰქონდა. თვით მამასახლისიც წირვის შემდეგ ულოცავდა ხოლმე დღესასწაულს და ქებას ეუბნებოდა.

— აი, ლუდმილა ასე ხშირად საყდარში არ დაიარებოდა,—ეტყოდა ხოლმე:—შენ კი ღმერთი არ გაგიწყრება!

მთელმა ზამთარმა ისე გაიარა, რომ ერთის წამის მოსვენება არა ჰქონია.

სამერმისოდ, რაღა თქმა უნდა, აღარ ჰფიქრობდა: თთვეში ეს თხუთმეტი მანათი ხომ ექნებოდა და შიმშილით სული არ ამოუვიდოდა. მაგრამ ეს რა მოუვიდა?

მართალია, ბევრი უბედურება გარდაჰხედია თავს, მაგრამ ერთხელაც არ მოსვლია ფიქრად, რომ ამისთანა დღეში ჩავარდებოდა.

ანნა იყო ობოლი და ისიც კი არ იცოდა, ვინ იყვნენ მისი მშობლები. კალათაში იპოვეს ის ერთის სახლის კარ-წინ, რომლის პატრონიც გულ-შემატკივარი ქალი იყო. ამ ქალმა ეს ბალღი ჯერ „ალსაზრდელ სახლში“ გაჰგზავნა, შემდეგ ობლების „თავშესაფარებელში“ და ბოლოს სასწავლებელში მისცა, სადაც სოფლის მასწავლებლობის მოწმობა მიიღო. მერე გულ-შემატკივარმა მისმა პატრონმა რამდენიმე ხელი ტანისამოსი შეუკერა, ცოტაოდენი ფულიც მისცა და გაისტუმრა. ამის შემდეგ გუბინის ქალმა სოფელში ამოჰყო თავი. დილის ხნით?—ეს ერთხელაც არ უკითხნია თავის თავისათვის ანნას. ამან მხოლოდ ის იცოდა, რომ ამ დროიდამ თავის თავსა და თავის ძალ-ღონეზე იყო დანდობილი და, რომ რამე უბედურობა მოსვლოდა, პასუხის მგებელიც თვითონვე იყო. შემწეობას ვერავის სთხოვდა; ამისი ამხანაგები ყველა ამასავით გაჭირებულნი იყვნენ. ყველა აქედ-იქით გაიფანტა, ყველა ამ გვარსავე მდგომარეობაში იყო და ყველა ლუკმა პურისათვის სწუხდა. ანნა მარტოდ-მარტო დარჩა, მაგრამ ამისი მარტოობა განსაკუთრებითი მარტოობა იყო. ხან-დის-ხან მარტო ხელი კაცი იშოვის ქომაგს, „გამომსარჩლებელს“, უბრალო შემთხვევას თავს დაახწევს, მაგრამ ეს კი სრულიად უპატრონო იყო. ქალის ბედი და იღბალი შემთხვევაზე იყო დამოკიდებული.

ანნას არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლია—ლამაზი ვარ, თუ არაო. მართლაც, სილამაზე საიმისო არა ჰქონდა, მაგრამ ახალ-გაზდობისა და სახის ცხოველის-მეტყველების გამო სანდობიანი და მიმზიდველი ქალი იყო. თვით სოფლის მწერალი სხვანაირად შეჰყურებდა, მაგრამ რაკი ცოლიანი იყო, თავის სურვილს არ აცხადებდა; ხან-დის-ხან ლექსებს გამოუგზავნიდა ხოლმე და ამ ლექსებში ბუნდად ჰხატავდა თავის წადილს. დროზდმაც უთხრა ერთხელ გაკვრით:

— ეჰ, ქალო, ქალო! მე შენ ოქროში ჩაგსვამდი, რომ...

ანნა ქალობაში ჯერ არ იყო ჩავარდნილი. ანნას არც ლექსები ესმოდა, არც გადაკვრით ლაპარაკი, არც ის იცოდა, თუ ამაებს რა მწუხარება მოსდევს ქალისათვის. იმას მხოლოდ კაცების სისულელე აკვირვებდა და იმათი ურიგობა და უზრდელობა, რომელნიც გადაკვრით ელაპარაკებოდნენ; მაგრამ იმდენად უბედური ეგონა თავისი თავი, რომ მწუხარებაც-კი ვერავისთვის გაემჟღავნებინა. ყველამ იცოდა, რომ მისი „დაძლევა“ ადვილი იყო და შეელო კიდეც რომ ეთხოვა და თუნდ სასკოლო საბჭოს წევრისათვის, რომელიც სკოლას იშვიათად ინახულებდა ხოლმე,—ასე ეტყოდნენ: «რა სისულელეს გვეუბნები—ჩვენი რა საქმეაო!» ეს-ღა დარჩენოდა—ეთმინა და მარჯვედ მოსჭიდებოდა იმ ადგილს, რომელიც ბედმა არგუნა. კიდეც რომ შეესმინათ მისი თხოვნა და სხვა ადგილას გარდაეყვანათ, იქაც იმავე მდგომარეობაში იქნებოდა, რა მდგომარეობაშიაც აქ იყო და შეიძლება ამ გარდაყვანაზე რამე ჭორიც გამოენასკვათ.

ნამდვილი უბედურება ჯერ კიდევ შორს იყო.

(დასასრული იქნება)

ყაჩალთაგან და თუ ცუდის ამინდების გამო. ზემო-ხსენებულის სოფლების მცხოვრებნიც ისევ ძველ მამა-პაპურ გაუკეთებელ გზაზედ დაიარებიან და ამ გზას-კი არ ეკარებიან, რადგან შორს უვლის და საფათერაკოა. ეს კიდევ არაფერი. საკვირველი და საცინელი ის არის, რომ გზის ზასტავა გამართულია ივრის-ხიდზედ, საგარეჯოს ბოლოს, რვა ვერსზედ მოშორებით. რასაკვირველია, ზემო ჩამოთვლილ სოფლებს ხელს არ მისცემს შორსეს გზაზედ წასვლა: უნდა გამოიაროს კაკაბეთის ბოლოს, გაიდეს ხიდზედ, შეუდგეს დიდ მოტიტვლებულ უწყლო მინდორს და ვაი-ვაგლახით გაიაროს მალხაზოვკაზედ და ჩავიდეს სართიჭალას, მაშინ როდესაც მოკლედ კაკაბეთიდგან და ჩაილურიდგან ზემო მოხსენებულ სოფლებს გამოუვლის და პატარძეულზედ გავა სართიჭალას, სადაც შედგება შემდეგ შორსეს გზაზედ; მაგრამ ხიდის ზასტავას უფროსი ბ-ნი როშკოვი რაწამს შეამჩნევს ურმებს საგარეჯოზედ და ზემო-მოხსენებულ სოფლებზედ მიმავალს, გამოუყენებს ურიადნიკებს და ყარაულებს, აქეთ დაბრუნდით, ხიდზედ გაიარეთ, იმ უდაბნოზედ წადით, მანდეთ ნუ მიდიხართ და ბაჟიც გადაიხადეთო. აი საცინელი ამბავი: ამას წინედ ოთხი ურემი გარესჯელის მოსიაშვილისა და ალექსაშვილისა და ოთხიც ს. გიორგი-წმინდისა მოდიოდა სოფ. ჩაილურიდგან. მეურმეებს ღვინოები მოჰქონდათ ქირით. ამათ, რასაკვირველია, ამჯობინეს თავიანთ სოფლებზედ გამოევლოთ და საქონელიც სახლებში დაესვენებინათ. შენიშნა ეს ხიდის უფროსმა ბ-ნმა როშკოვმა, გამოუყენა ჩაფრები და ურიადნიკი, დაბრუნდით და ამ გზაზედ წადითო. ეხვეწებიან საწყალი გლეხები, გაგვიშვით შინ, საქონელი უნდა გამოვცვალოთ და საჭმელიც უნდა წავიღოთ. ამ ციე ზამთარში ქალაქში საჭმელსაც ხომ არ ვუყიდით საქონელსა; აღებული ქირა სულ საქონლის საჭმელზედ დაგვეხარჯება და რაღა მივიტანოთ სახლში სახელმწიფო ფულის მოსაშორებლადაო. მაგრამ ვინ შეიბრალა საცოდავები; ეს რვა კაცივე ჩარეკეს ხიდზედ, შეუდგინეს პროტოკოლი, სთხოვეს გუბერნატორს, რომ გადაახდევინეთ 27 მანეთი გზის ფული და გადაეცით რომელიღაც კანონის ძალით სასამართლოს დასასჯელადაო. ამ საწყალ გლეხებს ექვსი მანეთი ქირა ჰქონდათ ურემზედ ჩაილურიდგან, თორმეტი აბაზი ურემზედ ორ-ხევის ზასტავაში გადაახდევინეს, რომლის ბარათები ხელში უჭირავთ, ახლა ის ოც-და-შვიდი მანეთიც რო გადაიხადონ, რიღას მოუვაგლახენი ყოფილან საცოდავები?

ა. კავთელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ავსტრიის გაზეთებმა ამ ბოლოს დროს როგორღაც ფრთა შეისხეს და თამამად დაიწყეს ლაპარაკი. ჯერ აქა-იქიდამ თითო-ოროლა გაზეთმა ამოიღო ხმა, ამათ სხვები მიჰყვნენ და ახლა ოფიციოზურ გაზეთებმაც ბანი მისცეს. ეს კია, რომ ოფიციოზური გაზეთები ისე გაბედნიერად, თავ-გასულად არა ლაპარაკობენ, ესენი უფრო მორცხვობენ და თითქოს ვიღასაც ერიდებიან.

რას ლაპარაკობენ ეს გაზეთები? აი რასა, როგორც გვარწმუნებს გაზეთი „Новое Время“:

ავსტრი-ვენგრიას ეხლა გზა გაეხსნან შეუძლიან თავისუფლად შესდგას ფეხი ბალკანის ნახევარ-კუნძულზე და თავის გულის-წადილი აისრულოს. ხელის-შემშლელი არავინ ეყოლება. წინ ველარავინ გადაელობება.

ჩვენი ცბიერი მეგობარი და მოლალატე პირ-და-პირ ლაპარაკობს და აღარა ჰმალავსო, ამბობს გაზეთი.

ავსტრიის ოფიციოზური გაზეთები დარწმუნებულნი არიან, რომ ბოლგარია სრულიად მზად არის. შემწვარია, სუფრაზე მოუტანიათ და სხვა აღარაფერი უნდა, აიღოს ავსტრიამ, პირში ჩაიდოს და ჩაყლაპოს. ავსტრია კიდეც ჩაჰყლაპავს და კარგადაც მოინელებსო.

ასე ლაპარაკობენ ავსტრიის გაზეთები.

გაზეთი „Новое Время“ კი გვარწმუნებს, რომ ავსტრიის გაზეთები სცდებიანო, ის ლუკმა, რომლის ჩაყლაპვასაც ავსტრია აპირებს, ყელზე დაადგებათო.

## უცხოეთი

**ბოლგარია.** „ჰავასის სააგენტოს“ დეპეშით აუწყებენ: ოსმალეთის მთავრობისმიერ ბოლგარიაში დანიშნულმა აგენტმა რიზა-ბეიმ დეპეშით შეატყობინა თავის მთავრობას, რომ სერბიისა, რუმინიისა და ბოლგარიის შორის ამ ჟამად გაცხარებული მოლაპარაკება არის გამართული სამხედრო საქმეებზედაო. ხმა გაავრცელეს კიდეც, რომ ბუქარესტსა და ბელგრადში წავიდნენ სოფიიდგან ბოლგარიის მოხელენი საერთო საქმეებზედ მოსალაპარაკებლადაო.

— გაზ. „Neue Freie Presse“-ს დეპეშით აუწყებენ სოფიიდგან, რომ ამ დღეებში ბოლგარიის სამხედრო კომისია ესსენში აპირებს წასვლას, რომ ჩაიბაროს შეკვეთილი კრუპპის თოფ-ზარბაზნის მექარხნესათვის თოფ-იარაღი. ამ კომისიას თოფ-იარაღის ჩაბარების გარდა ჰსურს ვენასა და პეშტში წავიდეს და ჯარისათვის ცხენები შეიძინოსო.

— ვენელი კორრესპონდენტი ამბობს გაზ. „Temps“-ისა, რომ მართალია ის ამას წინად გავრცელებული ხმა, ვითომ დიდთა სახელმწიფოთ ამ ჟამად მოლაპარაკება აქვთ ბოლგარიის საქმის გადასაწყვეტად და დასაბოლოვებლადაო. ამბობენ აგრეთვე, რომ რადგან დიდთა სახელმწიფოთ იმედი აქვთ, ჩქარა დაასრულოთ ეს საქმე, ამიტომ სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას ურჩევენ, რომ ჯერ-ჯერობით დიდს საერო კრებას ნუ მოიწვევო.

**გერმანია.** ბერლინში ხმა გაუვრცელებიათ, რომ ელზას-ლოტარინგია პრუსიას უნდა შეუერთონო.

— ელზას-ლოტარინგიის სამზღვრების ახლო ადგილებიდგან დიდ-ძალი ხე-ტყე გაჰქონდა საფრანგეთს ჯარის სადგომების ასაშენებლად. ეხლა, გაზ. „ბერლინის საპოლიტიკო ამბების“ სიტყვით, შეუწყვეტიათ ხე-ტყის ზიდვა ამ ადგილებიდგან. ამის გამო გაზეთი ამბობს, რომ ეტყობა საფრანგეთში დაუსრულებიათ ჯარებისათვის სადგომების აშენება და იმიტომ აღარ ეზიდებიან ხე-ტყესაო.

**ავსტრი-ვენგრია.** გაზ. „Wiener Tageblatt“-ი ამბობს: ავსტრიასთან ეხლა შებრძოლება ერთის რომელიმე სახელმწიფოსათვის ძალიან ძნელია, რადგან ავსტრი-ვენგრიას ამ ჟამად რუმინია, სერბია და ბოლგარია ემხრობიანო. ინგლისიც, თქმა არ უნდა, ავსტრიას მიემხრობა, თუ ბრძოლა ასტყდებაო. იტალიაც, რასაკვირველია, ავსტრი-ვენგრიას მიემხრობა, რადგან დიდს ლუკმას გამოელის იმისაგანაო. ამით თუ აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ჟამად ყველა სახელმწიფონი ავსტრიასთან შეტაკებას ერიდებიანო.

**ოსმალეთი.** სტამბოლიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Новое Время“-ს, რომ ინგლისის ელჩს უაიტს თან-და-თან უფრო მოწყალის თვალით უყურებს სულთანი და ამის გამო აშკარაა, რომ სერ უაიტი თავის მინდობილებას კარგად შეასრულებსო.

— ოსმალეთის მიუნდვია თავის აგენტისათვის სოფიაში, რიზა-ბეისათვის, რომ ბოლგარიის მმართველებს ურჩიე: ყველა დაპატიმრებულნი მეამბოხენი და მაშფოთარნი გაანთავისუფლოს და ბოლგარიიდგან გადახვეწილ საომბლოს მოღალატეთაც ნება მისცეს ბოლგარიაში დაბრუნებისაო, რომ ამით დაამშვიდოს მკვიდრნი ბოლგარიისანი და ევროპის დიდთა სახელმწიფოთა პატივის-ცემაც დაიმსახუროსო.

— ოსმალეთის ბეჭდვის საქმეების მთავარ-სამმართველომ სტამბოლის გაზეთებისათვის გამოუცხადებია და აუკრძალავს, რომ ბოლგარიის საქმეებზედ ნურარასფერს დასწერთ, რადგან ხშირად ტყუილს ამბებსა ჰბეჭდავთო.

## გასართობი

იშვიათი წარმოდგენა. ამას წინად სტოკჰოლმში ერთი იშვიათი წარმოდგენა ყოფილა სამადლო აზრით. ამ წარმოდგენაში საუკეთესო და უმთავრესი როლები მემკვიდრე პრინცსა და იმის მეუღლეს შეუსრულებიათ. წარმოდგენა გაუმართავთ სამუსიკო აკადემიის სადგომში და ყველას ჰქონია ნება დასწრებისა, რადგან ფასითა ყოფილა; თითოეული ბილეთი 15 მანათი ღირებულა. შემოსავალი ამ წარმოდგენიდგან იმ სახელგატეხილ ქალების თავ-შესაფარის სახლის სასარგებლოდ ყოფილა გადადებული, რომელიც ამ ქალების სწორ-გზაზედ დაყენებისათვის იღვწის და ზრუნავს.

**

ბეცების კლუბი. პარიჟში ერთი ახალი კლუბი გაუმართავთ; ამ კლუბის წევრად თუ არ ბეცებს, სხვას არავის შეუძლიან ჩაეწეროს. ყველა, ვინც კი ამ კლუბის წევრად ყოფნას მოინდომებს, უნდა გამოსცადონ და თუ ბეცი აღმოჩნდება, მიიღებენ, თუ არა და—არა. კაცების განყოფილებაში პრეზიდენტებად საფრანგეთის ცნობილი კრიტიკოსი სარსე და მწერალი ორელიენ შოლლი ამოურჩევიათ და ქალებისაში-კი—ქ-ნი ჟიუდიკი, რომელიც ისეთი ბეცია თურმე, რომ ერთს ნაბიჯზე კაცს ვერა ჰხედავსო. ამ კლუბში სასტიკად აკრძალულია თურმე სათვალეების ტარება.

**

ახირებული განცხადება. გერმანიის ერთს ქალაქში, გრეიცში, კბილის ექიმთ შულცსა და იმის შვილს გამოუცხადებიათ გაზეთებში, რომ გერმანიის იმპერატორის დაბადების დღეს მუქთად ჩაუსხამთ კბილებს ღარიბს კაცებსა და ქალებსაო.

## დეპეშა

(„ივერიის“ დეპეშა)

14 მარტი

† თელავი. გუშინ ღამის ცხრის ნახევარზედ გარდაიცვალა ჩვენი საერო კილოთი მწერალი ბოეტი იოსებ დავითაშვილი.

13 მარტი

**სოფია.** რადოსლავოვმა ნამდვილად იმიტომ დაიწყო მოგზაურობა ბოლგარიაში, რომ ყველგან პატრიოტული კომიტეტები შეადგინოს და დაავალოს ამ კომიტეტებს, დაცვა სამთავროს დღევანდელის წეს-წყობილებისაო.

**ბერლინი.** „ჩრდილო-გერმანიულს საყოველთაო გაზეთს“ მოჰყავს უკანასკნელი სიტყვები იმ წერილისა, რომელიც დაბეჭდა გაზეთმა „France“-მ 10 მარტის დღეობის გამო. გაზეთს ეს სიტყვები მიაჩნია ხაწყენად იმპერატორის ვილჰელმისათვის და ამბობს: „ჩვენ იმიტომ გამოვააშკარავეთ ახეთი უსირცხვილო ხაქციელი გაზეთისა, რომ ოდესმე დავამტკიცოთ, რა მოთმინებითა და გულ-დამშვიდებით იტანდა გერმანია რამდენისამე წლის განმავლობაში მეტად ურცხვს შეურაცხ-ყოფას და საბრძოლველად გამოთხოვებას ფრანგების მხრითაო.

**პეტერბურგი.** ზღვათა უწყების მიმართ ბრძანება გამოვიდა. ეს ბრძანება ამბობს, რომ ნაღმის მიმტანის გემების საომრად მუდამ მზად ყოფნისათვის, საჭიროდ იქმნა ცნობილი, თითოეულისთვის ცალკე მუდმივი რაზმი იყოს შედგენილი. ბალტიის ფლოტის 87 ნაღმ-მიმტანს გემში 45-ისათვის დღეიდამვე დანიშნება მუდმივი რაზმი იმ წესით, როგორც გადაწყვეტილია საკომპლექტო ტაბელითაო.

**პარიჟი.** სენატმა მოიწონა დეპუტატთა პალატის-მიერ კანჭის ერით შეწყნარებული დასამატებელი ბაჟი ხამზღვარ-გარეთიდამ შემოტანილს პურზე.

**სოფია.** ცანკოვის მომხრეებმა გამოუცხადეს რიზა-ბეის, რომ ჩვენ გვსურს მოვილაპარაკოთ თქვენთან, როგორც ოსმალეთის წარმომადგენელთან და არა როგორც რეგენტების სურვილის გამომთქმელთანაო. უკეთუ ჩვენი დასი გაიმარჯვებს, ჩვენ არ შევიწყნარებთ რეგენტების მიერ აღებულს ხესხსაო.

**პეტერბურგის ბირჟა, 13-ს მარტს**

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — » | — » | 9 29 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | $179^{1}/_{4}$ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — » | — » | $247^{1}/_{2}$ |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | $231^{3}/_{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | 97 | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97 | — » | — » |
| ტფილ. სისხ. ურთიერთ ნდობი სახო კადოებისა. | — » | $84^{1}/_{2}$ | — » |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუჲ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულისწმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

**მარტი** 31 დღით არის

**15 დღე კვირა.** წმ. მოწ. აღაპისა და ექვსთა მოწაფეთა. მე-5 კვირა დიდ-მარხვისა. კათოლ. ლონგინისა და ლუკრეციასი. სომეხ. მე-28 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-3 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. გარდაცვლა იმამის ალი-თალიასი (შიიტებს).

**16 დღე ორშაბათი.** წმ. მოწ. საბინესი. კათოლ. იულიანისა და გელიარისი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 5—50, ჩადის 6—22. მთვარე 5 დღისაა.

**17 დღე სამშაბათი.** ღირსისა ალექსი ღვთის კაცისა. კათოლ. გერტრუდისი და პატრიკიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 5—48, ჩადის 6—23.

**18 დღე ოთხშაბათი.** წმ. ეკრილე იერუსალიმელისა. კათოლ. ედუარდისა და იუსტასი. მუსულ. მე-6 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. დაბადება იმამის მურისა (შიიტ). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—47, ჩადის 6—24.

**19 დღე ხუთშაბათი.** მოწ. ქრისანფესი და დარიასი. კათოლ. წმ. იოსებისა. სომეხ. მე-32 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულა რაჰაიბის ღამე. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—45, ჩადის 6—52. მთვარე 8 დღისაა.

## სახელმწიფო განცხადებანი

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ (Тифлисское Губернское Правленіе) თავის გარდაწყვეტილების თანხმად დანიშნა საჯაროდ გასყიდვისათვის თავის სამმართველოში უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის გარდაცვალებულს პოროჩიკს ხვიმონ ზუბალოვს და რომელიც იმყოფება ტფილისის მე-10 ნაწილში, აფთიაქის ქუჩაზედ. ეს მამული არის ერთ-სართულიანი სახლი ფლიგელით და სარაიათი; ამ სახლს თავის ეზოთი ეკუთვნის მიწა სივრცით 230 ოთხ-კუთხი საჟენი. ეს მამული დაფასებულია ხუთასს შვიდ თუმნად (5,070 მან.); ეს მამული იყიდება სახელმწიფო ვალის გადასახდელად, რომელიც დასდებია გარდაცვალებულს ტფილისის მოქალაქეს იოსებ ყაზაროვს. დრო ამ მამულის გასყიდვისათვის დანიშნულია ამა 1887 წელს 4 მაისს, დილის 11 საათზედ, ხოლო განმეორებითი ვაჭრობა (переторжка) იქმნება სამს დღეს შემდეგ. ვისაცა სურს ამ მამულის ყიდვა, უნდა მოვიდნენ დანიშნულს დღეს საგუბერნიო გამგეობის სამმართველოში, სადაც შეეძლებათ განიხილონ დაწერილებითი აღწერილობა იმ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდები, ამ გასყიდვის შესახები. (3—3)

## კერძო განცხადებანი

დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო
წიგნი
„მოლალური“
ან. თუმანიშვილისა.
ფასი ერთი აბაზი

ისყიდება ტფილისში, ჩარკვიანისა და გრიქუროვის მაღაზიებში, ქუთაისში ჭილაძეების მაღაზიაში და სხვა ქალაქებში კი კერძო კაცებთან. (10—3)

Дов. цен. Тиф. 14 марта, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე